პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 ნოემბერი შაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის ნი-ე წელი

№ 261 (14561)

საოქტომბრო ნობათები

● ბარდაბანი. (საკ. კორ.) ძვირფასი საჩუქარი მიუძღვნეს დიდი ოქტომბრის დღესასწაულს თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მშენებლებმა და ამავე სადგურის სპეციალისტებმა. მათ საექსპლოატაციოდ მოამზადეს რიგით მეექვსე ენერგობლოკი. 160 ათასი კილოვატის ახალი ენერგობლოკის სიმძლავრე.

ამრიგად, ამ სიმძლავრის საექსპლოატაციოდ გადაცემით სადგურის სიმძლავრე 960 ათას კილოვატამდე გაიზრდება.

აღნიშნული ბლოკის მშენებლობაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ სამმართველოს კოლექტივმა, „ელექტროენერგომონტაჟის“ თბილისის, ბაქოსა და სხვა უბნების მემონტაჟეებმა.

ენერგობლოკი უკვე ჩაირთო „საქენერგოს“ სისტემაში.

● წარმატებას მიაღწიეს წელს ორჯონიკიძის რაიონის მევენახეებმა. სახელმწიფოს მიეყიდა 6.700 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული [illegible] ნაკისრი 5.500 ტონისა.

სახელმწიფოსათვის ყურძენი [illegible] ოქრულებაში თავი ისახელეს კოტეში, ბორის, [illegible] [illegible]ის, ვარძიის, ბორითის, ჩხერის, ზვარის კოლმეურნეობებმა და მოსახლეობამ. ორჯონიკიძელი მევენახეები კვლავ განაგრძობენ ყურძნის კრეფას. მათ გადაწყვეტილი აქვთ სახელმწიფოს მიაყიდონ 8.200 ტონა ყურძენი, ანუ გეგმის გადაჭარბებით — 3.000 ტონაზე მეტი.

● ჭიათურელმა მევენახეებმა პირობა გაანაღდეს. სახელმწიფოს მიეყიდა 2.600 ტონა ყურძენი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 1.300 ტონისა. სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვა გრძელდება.

● სამტრედიის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 670 ტონა ყურძენი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 638 ტონისა. სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვა გრძელდება.



მოსკოვი, 1969 წლის 7 ნოემბერი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 52-ე წლისთავის დღესასწაული. წითელი მოედანი, ვ. ი. ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე.

ფოტო საკდესისა (მიღებულია საკდესის ფოტოტელეგრაფით).

ლენინური კურსით — კომუნიზმისაკენ!

სამხედრო კარადი და მშრომელთა დემონსტრაცია წითელ მოედანზე

ბრეჟნევის კურანტებმა კომუნისტური ერის 52-ე წლის დამთავრება გვაცნეს. როცა დღესასწაულის დილამ ძველი კრემლი გაანათა, წითელი მოედანი გონების თვალით მოიარა თვითეულმა საბჭოთა ადამიანმა, ჩვენი ქვეყნის თვითეულმა მეგობარმა. ეს ადგილი წმიდათა წმიდაა ყველა თაობისათვის. წითელ მოედანს ახსოვს ლენინი. ეს მოედანი მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს დიადი საგმირო საქმეების მოწმეა.

წლევანდელი დღესასწაული განსაკუთრებით საზეიმოა. მას ვეგებებით ღირსშესანიშნავი თარიღის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის — პროლეტარული რევოლუციის გენიალური თეორეტიკოსის, ორგანიზატორისა და ბელადის — დაბადების 100 წლისთავის წინ. ლენინიზმი საფუძველია კომუნისტური მოძრაობის ყველა წარმატებისა, მუშათა კლასის იდეალების გამარჯვებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი ქვეყნის განვითარების ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის გამოცდილება თვალნათლივ მოწმობს ლენინიზმის იდეების, ოქტომბრის იდეების დიად შემოქმედებითს ძალას. საბჭოთა მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, ინტელიგენციას კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით მიჰყავთ კომუნისტური მშენებლობის საქმე, სულ უკეთ იყენებენ სოციალიზმის უპირატესობებს.

სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებში განსაზღვრულია სოციალისტური ეკონომიკის განვითარების მთავარი ამოცანები. ესმის რა საერთო ეკონომიური ზრდის მაღალი ტემპების შენარჩუნების მთელი მნიშვნელობა, ჩვენმა პარტიამ აიღო მსოფლიოში ყველაზე მოწინავე — როგორც ეკონომიური ეფექტიანობით ისე მეცნიერულ-ტექნიკური დონით — სახალხო მეურნეობის შექმნის გეზი.

ხუთწლეულის გასულმა წლებმა ცხადყო, რომ წარმატებით სრულდება მისი ძირითადი დავალებანი. სამრეწველო პროდუქციის მატება ოთხი წლის მანძილზე (1969 წლის მოსალოდნელი მაჩვენებლების გათვალისწინებით) შეადგენს დაახლოებით 39 პროცენტს, რაც აღემატება ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულ ტემპებს. წელს ელექტროენერგიის გამომუშავება მიაღწევს თითქმის 690 მილიარდ კილოვატ-საათს, ნავთობის — შეადგენს 329 მილიონ ტონას. ფოლადის წარმოება — 110 მილიონ ტონაზე მეტს, მინერალური სასუქებისა — 47 მილიონ ტონას.

ორმოცდაათი წლის წინათ, 1919 წლის 7 ნოემბერს, სტატიაში „საბჭოთა ხელისუფლების ორი წელი“, რომელიც გაზეთმა „ბედნოტამ“ გამოაქვეყნა, ვ. ი. ლენინი წერდა: „რატომ არის მტკიცე საბჭოთა ხელისუფლება, მიუხედავად შიმშილით გამოწვეული გაუგონრად მძიმე განცდელისა და ტანჯვისა?...

იმიტომ, რომ იგი თვით მშრომელთა ხელისუფლებაა, მილიონობით მუშისა და გლეხის ხელისუფლება.

საბჭოთა ხელისუფლება იცავს მშრომელებს..

აი რაშია საბჭოთა ხელისუფლების ძალისა და სიმტკიცის წყარო, მთელ მსოფლიოში მისი უძლეველობის წყარო“.

ჩვენი ქვეყნის მიერ განვლილი მთელი გზა მკაფიოდ ადასტურებს ლენინის გენიალურ განჭვრეტას. მთელ თავიანთ წარმატებებს ჩვენი ხალხი, ჩვენი ქვეყანა უნდა უმადლოდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, ლენინური კომუნისტური პარტიის ბრძნულ ხელმძღვანელობას. წითელ მოედანზე ელვარებს სიტყვები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მტკიცედ მიუძღვის საბჭოთა ხალხს ლენინური გზით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!“. სახელმწიფო უნივერსალური მაღაზიის ფასადზე გამოკრულია უზარმაზარი ალისფერი ტილო ვ. ი. ლენინის პორტრეტით. გვერდით ორი მონუმენტური პანო — „დიდი ოქტომბერი“ და „საბჭოთა ხალხი — კომუნიზმის მშენებელი“.

სსრ კავშირის სახელმწიფო გერბი და 15 მოკავშირე რესპუბლიკის გერბები ამკობენ კრემლის კედელს. ისტორიული მუზეუმის შენობაზე მოჩანს პანო „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე მთელი მსოფლიოს კომუნისტთა ერთიანობისათვის“. პროლეტარის ფიგურა დროშით ხელში და მშრომელი ადამიანების შემჭიდროებული მწყობრი წითელი დროშების ქვეშ განასახიერებენ ოქტომბრის იდეის, ლენინიზმის იდეის დიად მალას. ეს იდეები რევოლუციური აზრისა და რევოლუციური მოქმედების მარად ცოცხალი წყაროა, კაცობრიობის ბედნიერებისათვის მილიონობით მებრძოლთა ძლევამოსილი დროშაა.

ხაპატიო სტუმრების ტრიბუნებზე არიან დედაქალაქის ქარხნებისა და ფაბრიკების, მშენებლობებისა და უმაღლესი სასწავლებლების, მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, სახელგანთქმული საბჭოთა კოსმონავტები. აქვე არიან ახლახან ბუდაპეშტში დამთავრებული პროფკავშირთა VII მსოფლიო კონგრესის მონაწილენი, მეგობრობის მატარებლით ჩამოსული ჩეხოსლოვაკიელი ამხანაგები, სხვა საზღვარგარეთელი სტუმრები.

ცენტრალურ ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ბ. ი. პონომარიოვი, ა. ა. კოსიგინი, ა. ნ. ბოლშაკოვი, ა. ბ. ალიევი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ა. ნ. შელეპინი, ი. ვ. ანდროპოვი, ვ. ვ. გრიშინი, ა. ნ. დემიჩევი, დ. ფ. უსტინოვი, ი. ვ. პაპანოვი, ა. ფ. კატუშევი, ფ. დ. კულაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი. მოედანზე შეკრებილნი მათ გულთბილად, მჭუხარეტაშით ხვდებიან.

ტრიბუნაზე არიან სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარე ფამ ვან ბონ, ფამ ჰუნ ფუ, ლეონ ბანი, ბუი ფონ ბანი, ბუი ფონ ბანი, ბუი ფ

ლენინური კურსით — კომუნიზმისაკენ!

(დასასრული)

მოსკოვი, 1969 წლის 7 ნოემბერი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 52-ე წლისთავის დღესასწაული. მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია.

მოსკოვი, 1969 წლის 7 ნოემბერი. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 52-ე წლისთავის დღესასწაული. სამხედრო პარადი წითელ მოედანზე. სურათზე: მარშუნა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბალისტიკური რაკეტები.

ფოტო საკდესისა (მიღებულია საკდესის ფოტოტელეგრაფით).

განუხრელად მტკიცდება სოციალისტურ სახელმწიფოთა ერთიანობა, უფრო სრულყოფილი ხდება ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია. საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ახლახან დამთავრებული მოლაპარაკება კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი ქვეყნებისა და მთელი სოციალისტური თანამეგობრობის მზარდ შეკავშირებას.

წლითიწლობით ძლიერდება კლასობრივი ბრძოლები კაპიტალის ქვეყნებში. ფაროთოვდება მოძრაობა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში. ახლა მთელი მსოფლიო ხედავს, რომ ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების აგრესია უპერსპექტივოა. განუხრელად იზრდება არაბ ხალხთა ბრძოლა ისრაელის აგრესიის შედეგების ლიკვიდაციისათვის.

ამ პირობებში იმპერიალიზმი გააფთრებულ ღონისძიებებს მიმართავს, რომ გაიხანგრძლივოს არსებობა. იგი ცდილობს ყოველგვარი საშუალებით შეაფერხოს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების, მსოფლიოს მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარება.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, გამოხატავენ რა ჩვენი ხალხის ნებას, მთელი მსოფლიოს მშრომელთა საარსებო ინტერესებს, თანმიმდევრულად და შეურიგებლად იბრძვიან იმპერიალიზმის აგრესიული გეგმების ჩაფუშვისათვის, ახალი მსოფლიო ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნისათვის.

ამავე დროს შეუნელებელ მზრუნველობას ვიჩენთ ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისათვის. ოქტომბრის დიდ მონაპოვრებს, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმეს საიმედოდ იცავენ ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალები. ისინი ალპურვილი არიან პირველი კლასის საბრძოლო ტექნიკითა და იარაღით. არმიისა და ფლოტის მეომრები უაღრესად ერთგულნი არიან თავიანთი სამშობლოსა, მომზადებული არიან თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე და შეუძლიათ პირნათლად შეასრულონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ყოველი ამოცანა.

გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდამეთორმეტე წლისთავს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხს და მის შეიარაღებულ ძალებს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!

გაზა!

• • •

ჭუხს საარტილერიო სალუტი. ორკესტრი ასრულებს საბჭოთა კავშირის ჰიმნს.

ერთი წუთით სიჩუმე მყარდება. და აი გაისმის ბრძანება და დოლების ხმა. ტრადიციისამებრ წინ არიან მოსკოვის სამხედრო-მუსიკალური სკოლის ნორჩი ალაზრდელები.

ერთმანეთის მიყოლებით მოდიან სამხედრო აკადემიების კოლონები. მავზოლეუმის წინ მიაქვთ მ. ვ. ფრუნზეს სახელობის ლენინის ორდენსანი წითელდროშოვანი ორდენსანი სუვოროვის ორდენსანი სამხედრო აკადემიის, ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინის ორდენსანი წითელდროშოვანი სამხედრო-პოლიტიკური აკადემიის, ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის ლენინისა და სუვოროვის ორდენსანი სამხედრო საინჟინრო აკადემიის, საბჭოთა კავშირის მარშალ გ. ი. ბალინოვსკის სახელობის ჯავშანსატანკო ჯარების ლენინის ორდენსანი წითელდროშოვანი სამხედრო აკადემიის, ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის ლენინის ორდენსანი წითელდროშოვანი სამხედრო-საინჟინრო აკადემიის, ქიმიური დაცვის წითელდროშოვანი სამხედრო აკადემიის, ი. ა. გაგარინის სახელობის წითელდროშოვანი კუტუზოვის ორდენსანი სამხედრო-საჰაერო აკადემიის, პროფესორ ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის ლენინის ორდენსანი წითელდროშოვანი სამხედრო-საჰაერო საინჟინრო აკადემიის საბრძოლო დროშები.

სსრ კავშირის სახელოვან სამხედრო-საზღვაო ფლოტს პარადზე წარმოადგენს ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის ლენინის ორდენსანი სამხედრო-საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი. მეზღვაურებს ცვლის მედესანტეთა ქვეითი მწყობრი. მათ მოჰყვებიან მოსკოვის წითელდროშოვანი უმაღლესი სახაზარო სამეთაურო სასწავლებლის კურსანტები.

ფართო ნაბიჯით ჩაივარა ორგზის წითელი დროშის ორდენსანი ბალტიის ფლოტის საზღვაო ქვეითი ჯარის პოლკმა.

წითელ მოედანზე შემოდიან ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის ლენინის ორდენსანი წითელდროშოვანი მოტორმსროლელი დივიზიის ქვეგანაყოფები. მათ შემდეგ მოდიან მოსკოვისა და კალინინის სუვოროვის სამხედრო სასწავლებლების, ლენინგრადის ნახიმოვის სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის კოლონები.

მავზოლეუმს უახლოვდება მოსკოვის რუხეთის სფერ უმაღლესი საბჭოს სახელობის ლენინის ორდენსანი წითელდროშოვანი უმაღლესი საერთო-საჯარისო სამეთაურო სასწავლებლის საპარადო გუნდი. საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე შექმნილი ეს სასწავლებელი გახდა პირველი სამხედრო სასწავლებელი, რომელიც წითელ მეთაურებს ამზადებდა მუშებისა და გლეხებისაგან. პარადში მონაწილეობს ახალი, რომლის საპატიო კურსანტად სამუდამოდ ჩარიცხულია ვ. ი. ლენინი.

ამ სასწავლებლის კოლონები ამთავრებენ პარადის პირველ ნაწილს. კურსანტები გვიჩვენებენ ჩინებულ „ბაღერთნილობას — მთელ მოედანზე გაისმის მათი მტკიცე შეწყობილი ნაბიჯის ხმა.

...წითელი მოედანი მოტორების გუგუნით ივსება. სხვადასხვა ტიპის ჯავშანტრანსპორტიორებით მოდიან ტამანის მ. ი. კალინინის სახელობის სუვოროვის ორდენსანი მოტორიზებული მსროლელთა დივიზიის ქვეგანაყოფები.

ტამანელებს ცვლიან სპეციალურ-სადესანტო ჯარები. ახლა ეს ჯარები ისეთი როდი არიან, როგორიც იყვნენ თუნდაც ათი წლის წინათ. მათს განკარგულებაშია მძლავრი ტორპედნინააღმეფინი სატანკო თვითმფრინავები და ჩინებული მარაშუტები. მათ შეუძლიათ გადაწყვიტონ რთული საბრძოლო ამოცანები სხვადასხვაგვარი ტექნიკის გამოყენებით. ამ ტექნიკის ნაწილი წარმოდგენილია პარადზე: მოედანზე მწყობრად მოდიან დიდი სიცეცხლე ძალის მქონე თვითმავალი საარტილერიო დანადგარები.

წითელ მოედანზე შემოდიან ტანკები. მარშუნა კანტემიროვკის ლენინის ორდენსანი წითელდროშოვანი გვარდიული სატანკო დივიზია. მისი მეომრები ფაშისტ დამპყრობლებს ანადგურებდნენ ვოლგაზე და ვორონეჟთან, ათავისუფლებდნენ ტერნოპოლსა და შეპეტოვკას და საბრძოლო გზა დამთავრეს უმაგალითო მარშალ ერანენკოს ალანეული პრაღის დახსნამარტლად. ახლა ტანკისტ გვარდიელთა ცხოვრების კანონი გახდა წესი: „სამსახური — ორი წელი, საბრძოლო მზადყოფნა — ყოველთვის!“ ბევრი მათგანი მაღალი კლასის სპეციალისტია და პირნათლად აგრძელებს კანტემიროვკელთა ომის წლების ტრადიციებს.

არტილერიას ფრონტზე „ომის ღმერთს“ უწოდებდნენ. მის მნიშვნელობას ვერც დღეს შეეამცირებთ, რაკეტების ტექნიკის საუკუნეში. არტილერისტები პარადზე უჩვენებენ სხვადასხვა კალიბრის შორსმსროლელ ქვემეხებს, რა თქმა უნდა, ყველა, ვინც მოდანზეა, ჯერჯერობით აფასებს რაკეტულ არტილერიას, სახელმოხვეჭილ „კატიუშებს“. ისინი ყოველთვის მოგვაგონებენ განვლილი ომის ცეცხლოვან წლებს.

დღეს ამ მოგონებებს განსაკუთრებული აზრი ენიჭება: ნახევარი წელი რჩება იმ დღემდე, როცა საბჭოთა ქვეყანა, ყველა ჩვენი მეგობარი საზღვარგარეთ აღნიშნავენ ბიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების 25 წლისთავს.

მშვიდობიანი 25 წლის მანძილზე საბჭოთა სახელმწიფომ არაერთხელ განაახლა თავისი არმიის საბრძოლო ტექნიკა, სრულყო იგი მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების საფუძველზე. ჩვენი არმია და ფლოტი აღჭურვილი არიან ყველაზე სრულყოფილი იარაღით, მათ შორის სხვადასხვა დანიშნულების რაკეტებითაც.

...მაგრამ განვაგრძოთ რეპორტაჟი წითელი მოედნიდან. სწორედ იმის ჯერიც დადგა, რომ თავიანთი ტექნიკა უჩვენონ სარაკეტო ქვეგანაყოფებმა.

მოედანზე შემოდიან ხაზენიტო-რაკეტული ჯარების ვერცხლისფერი დანადგარები. ყოველნაირ ამინდში, დღისით თუ ღამით, იცავენ ისინი ჩვენი სამშობლოს ცას.

მძლავრ საწევრებს მოაქვთ სწრაფი და მანევრული ტაქტიკური რაკეტები, შემდეგ მოდის უფრო მოსახერხე იარაღი — ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების კოლონა.

მარშუნა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბალისტიკური რაკეტების ქვეგანაყოფი. სამშობლოს საზღვაო საზღვრების საიმედო დამცველია ჩვენი ფლოტი, რომლის დამრტყმელი ძალის საფუძველს შეადგენენ ატომური წყალქვეშა ნავები-რაკეტმზიდები.

პარადის დასასრულს წითელ მოედანზე შემოდიან სტრატეგიული დანიშნულების რაკეტული ჯარები. თვითმავალი გასაშვები დანადგარებით წინ მოდიან შეარსათბობიანი მცირეგაბარიტიანი რაკეტები.

მათ მოჰყვებიან ხაოინტერნტოთაშორისო სამსაფეხურიანი მყარსათბობიანი რაკეტები, რომელთა გაშვება ორკიელდება საიმედოდ დაცული ხაშახტა გასაშვები დანადგარებიდან.

პარადს ამთავრებენ სტრატეგიული რაკეტები, რომლებსაც უნარი შესწევთ ატომური მუხტი მოახვედრონ აგრესორის ობიექტებს დედამიწის ყოველ წერტილში...

* * *

...ისმინეთ ყველამ, ისმინეთ ყველამ! — კვლავ გვაუწყებენ ფაფარები. წითელი მოედნის ცენტრში დგანან ალისფერდროშიანი ქალიშვილები და ჰაბუკები. ისინი ქმნიან უზარმაზარ მოგიზგიზე ჩიტაღდანს. მათ თავზე ნელნელი ადის ბურთობა. სულ უფრო მაღლა და მაღლა, და აი ცაში აფრიალდა ალისფერი დროშა ლენინის პორტრეტით. ჩიტაღდნიდან ყველა მხარისაკენ იფანტება სხივები, რომლებიც სიმბოლოურად გამოხატავენ ოქტომბრის შუქს, მთელი პლანეტა რომ გაციცხროვნა.

ყველს თვითეული ადამიანისათვის მახლობელი რევოლუციური სიმღერა „წინ, გაბედულად, ამხანაგებო“ და „კომუნისტური ბრიგადების მარში“. მოდიან მანქანები ტრანსპარანტებით „იდიდე, ჩემო თავისუფალო სამშობლოვ“, „ოქტომბერი ახალი ერაა კაცობრიობის ისტორიაში“, „ხაბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისია“.

...ერთი წუთიც — და მოედანი თითქოს საფეიერო საამქროდ გადაიქცა: ფეიერფეტანსაცმლიან ქალიშვილებს ხელში უჭირავთ ფეიერი და თეთრი ლენტები და ლამაზი მოძრაობით სიმბოლურად გამოხატავენ შთამაგონებელ შრომას.

დიდებულია თავისი შრომით ხაბჭოთა ადამიანი. შემოქმედებითი, შთამაგონებელი შრომა გმირებს ბადებს ბრძოლებთან და შახტებში, მინდვრებსა და ლაბორატორიებში, ჩარხებთან და მშენებლობებზე. მათი საქმეებით მრავლდება საშობლოს დოვლათი. პირველ რიგებში არიან მოსკოვის მშრომელები. მათ შეასრულეს საადელსახლეოო ვალდებულებანი. მოსკოველები და ლენინგრადელები იყვნენ ინიციატორები სოციალისტური შეჯიბრებისა: 1970 წლის 7 ნოემბრისათვის დაემთავრებინათ ხუთწლეული. დედაქალაქის 100 ათასზე მეტმა მუშამ უკვე შეასრულა პირობა.

...ვიხმინეთ მოტოციკლების გუგუნი. მოედანზე შემოდის მოტორიზებული კოლონა. მისი მონაწილენი კოსმოსური ხომალდსა მგავს. სპორტსმენებს კოსმონავტთა ნარინჯიფერი და ლურჯი კოსტიუმები აცვიათ, პანო მოგვითხრობს კოსმოსში ანალი ეროვნული ფრენა.

ჭარი აფრიალებს ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების მრავალფეროვან დროშებს. მოაბიჯებენ მსოფლიოსა და ევროპის, ოლიმპიური ასპარეზობებისა და სპარტაკიადების ჩემპიონები. მათთან ერთად მოდიან დოსაააფელები — მფრინველები, პარაშუტისტები, მოტოციკლისტები, მეკავშირეები.

მოდიან ლენინურ ადგილებში ლაშქრობებისა და სრულიად საკავშირო სახედრო-სპორტული თამაშის „ზარნიცის“ მონაწილენი. ნორჩი ლენინელები მოაბიჯებენ ფლადად მღერიან „მამაცთა სიმღერას“.

მოედანზე კვლავ შემოვიდნენ მეედრშეები. სამი ათასი ალისფერი დროშა ქმნის ყველა ადამიანის ძვირფას სახელს „ლენინს“. გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას“. „გაუმარჯოს ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!“.

ბავშვები ადიან მავზოლეუმის ტრიბუნაზე და ყვავილთა თაიგულებს გადასცემენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, ხაზღვარგარეთელ სტუმრებს.

ისტორიული მუზეუმიდან მოედანზე შემოდის მანქანა ტრანსპარანტით, რომელზეც წარწერილია „მოსკოვი — გმირი ქალაქი“. იწყება დედაქალაქის მშრომელთა ხაზეიმო მარში. მოზეიმე ადამიანთა ნაკადით აივსო წითელი მოედანი.

დემონსტრანტებს მოაქვთ მარქსის, ენგელსის, ლენინის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრების პორტრეტები. წითელ ტილოებზე წარწერილია პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი, რომლებშიც ასახულია ხაბჭოთა ხალხის — ინტერნაციონალისტი ხალხის ნება: განვამტკიცოთ მთელი მსოფლიოს კომუნისტთა ერთიანობა და შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე, ფხიზლად ვიყოთ სოციალიზმის მტრების ხრიკებისადმი.

მოსკოვრეჩიეს რაიონის მშრომელთა მსვლელობას ხსნის ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის სახელგანთქმული ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივი. ოქტომბრიდან ოქტომბრამდე ქარხნის მშრომელები ახალ წარმატებებს აღწევენ. ისინი ეწევიან თავიანთ რევოლუციურ სამუშაოს, როგორც მათ უანდერძა ილიჩმა ერთ-ერთ თავის გამოსვლაში.

ჯერ კიდევ ხაბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ლენინი ოცნებობდა რუსეთის მძლავრ ინდუსტრიულ ზრდაზე. ახლა მეცნიერულ- ტექნიკური პროგრესი გახდა ჩვენი პარტიის სამეურნეო პოლიტიკის მთავარი მიმართულება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის რაც შეიძლება მალე შექმნის მიზნით. ეს დროების მოთხოვნაა. ათასობით საწარმო იბრძვის საწარმოო პროცესების ფართო მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციისათვის.

ამ საუოველთაო-სახალხო შეჯიბრებაში მოწინავეთა რიგებში დგას მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა, რომლის გამოცდილება მოიწონა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა. უკანასკნელ წლებში აქ შეიქმნა 20-ზე მეტი კომპლექსურ-მექანიზებული უბანი, კორპუსი და საამქრო. „ლიხაჩოვის სახელობის ქარხანა: ჯეზია ტექნიკური პროგრესი“ — ასეთი დევიზით გამოვიდა ეს კოლექტივი სადღესასწაულო დემონსტრაციაზეც.

მოსკოვი სამშობლოა ბევრი შესანიშნავი წარმოუყენებისა, რომლებსაც მხარი დაუჭირეს ჩვენი ქვეყნის საწარმოებმა. მოედანზეა ფრუნზეს სახელობის ბამბეულის ფაბრიკის კოლექტივი. ფეიერი მარიამ ივანოვნა სწორედ აქ გამოვიდა მოწოდებით — 1970 წლის 22 აპრილს, ვ. ი. ლენინის დაბადების დღეს, იშრომონ დაზოგილი ნედლეულითა და მასალეთით, ხოლო გამომუშავებული თანხა გადარიცხონ ხუთწლედის ფონდში. მის მომდევართა — ხოლო ისინი მილიონობით არიან! — შრომაში მკაფიოდ გამოვლინდა ხაბჭოთა მუშის კომუნისტური შეგნებულობა.

დედაქალაქის ლენინის რაიონი უდიდესი სამეცნიერო ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლებლების, საკვლევი ინსტიტუტების რაიონია. ათასზე მეტი მეცნიერი, ინჟინერი და ტექნიკოსი მიაბიჯებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კოლონაში.

საბჭოთა მეცნიერება ჩვენი ქვეყნის ტექნიკური პროგრესის მაძიებრავეველი ძალაა. სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მინიჭება მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში მოწმობს, რომ საბჭოთა მეცნიერები, კონსტრუქტორები, ინჟინრები, წარმოების ნოვატორები წარმატებით წყვეტენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის აქტუალურ პრობლემებს.

საბჭოთა მეცნიერების მეოხებით, მთელი ჩვენი ხალხის თავდადებული შრომის მეოხებით საბჭოთა ქვეყანას ეკუთვნის კოსმოსური ერის დამწყების სახელი. მსოფლიოში პირველი კოსმონავტი მფრინავის ი. ა. გაგარინის სახელს ატარებს ახლა ფედედაქალაქის ერთ-ერთი ახალგაზრდა რაიონი. მისი კოლონებიდ გაფორმებენ ასახულია საბჭოთა კოსმოსური კვლევის ისტორია.

საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში ყველა კონტინენტის სტუდენტები სწავლობენ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლონაში მწყობრად მოდიან ევროპის, აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ახალგაზრდობის წარმომადგენლები. საბჭოთა მეგობრებთან ერთად ლენინის გორაზე სწავლობს ორი ათასი უცხოელი. ეს დიდი ინტერნაციონალური ოჯახია. მოსკოვის უნივერსიტეტი ამზადებს ხელეკილოლებს მსოფლიოს ასი ქვეყნისათვის.

„საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა ცხოვრობს დიდ ეპოქაში, მუშაობს დიდ თავისუფალ ქვეყანაში, და მისი შრომა—შემოქმედებითია, თავდადებული შრომა — წვეტს ქვეყნის ბედს“, — თქვა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში ლ. ი. ბრეჟნევმა. ამის საუკეთესო დადასტურებაა სადღესასწაულო პატაკები.

განვამტკიცებდეთ მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს, თვალსაჩინივით ვუფრთხილდებოდეთ მას, გვიანდერძა დიდმა ლენინმა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ეს კავშირი ძლავრი ძალა გახდა. კოლმეურნეთა მესამე სრულიად საკავშირო ყრილობისათვის მზადება სოციალისტური მეურნეობის მიღწევათა დიდ დათვალიერებად იქცა.

მალე კრემლში ყრილობაზე მოვლენ დონის აგრონომები და ციმბირის არტელების თავმჯდომარეები, ვოლოგდის ოლქის მწველავები და ყუბანის ტრაქტორისტები — ხაბჭოთა კავშირის სოფლის მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლები. კრემლში ისინი განსჯიან თავიანთ საქმეებს, მიიღებენ კოლმეურნეობის ახალ ხანმეტ წეალდებას. ყრილობა ახალი ნაბიჯი იქნება საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცების, საკოლმეურნეო დემოკრატიის განვითარების გზაზე.

დემონსტრანტებს მოაქვთ პატაკები. დიაგრამები, რომლებიც მოწმობენ, რომ სოფელს დიდ დახმარებას უწევს დედაქალაქი, რომ ქალაქისა და სოფლის მშრომელებს შორის ურღვევი კავშირია.

სადღესასწაულო მწკრივშია სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის კოლექტივი. დიდია ინსტიტუტის საქმიანობის მნიშვნელობა ლენინის მემკვიდრეობის პროპაგანდაში. მილიონობით ადამიანი მიმართავს ვ. ი. ლენინის ნაშრომებს, ღრმად სწავლობს ბელადის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას.

სიმბოლურია, რომ სადღესასწაულო დემონსტრაცია წითელ მოედანზე დაამთავრა კომკავშირულმა კოლონამ — მუშებისა და გლეხების ახალგაზრდა გვარდიამ. ახალგაზრდობა უფროსი თაობების მიერ დაწყებული დიდი საქმეების განმგრძობია. მან უნდა ატაროს ოქტომბრის რევოლუციით ანთებული თავისუფალი შრომის, ხალხთა თანასწორობისა და ძმობის ჩირაღდანი.

იცხოვრონ და იშრომონ ლენინურად. დაუცხრომლად ამაკვლონ სოციალისტური სახელმწიფოს სიმდიდრე, მისი თავდაცვითი ძლიერება. აღზარდონ დიდი ოქტომბრის იდეალების ერთგული იდეური მებრძოლნი. განამტკიცონ და გაიფართოონ პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, მეგობრობა მთელი მსოფლიოს ხალხებს შორის — ეს არის ხაბჭოთა ადამიანების ცხოვრების აზრი. სადღესასწაულო დემონსტრაცია ამის მკაფიო და დამაჯერებელი დადასტურებაა. ხაბჭოების ქვეყანა უტეუარი ლენინური კურსით მიდის კომუნიზმისაკენ. (საკდესი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა
ZENIT
ZENIT
ZENIT

თბილისის მშრომელთა დემონსტრაცია რუსთაველის პროსპექტზე 1969 წლის 7 ნოემბერს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ოქტომბრის უძლეველი დროშით

თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი და საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია

დიდი ოქტომბრის ერთი წლისთავიდან მეორემდე — დროის ამ მონაკვეთით ზომავენ საბჭოთა ადამიანები თავიანთ ძლევამოსილ წინსვლას სანუკვარი მიზნისაკენ.

დღეები, რომლებიც წინ უძღოდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 52-ე წლისთავს, აღინიშნა საყოველთაო-სახალხო აღმავლობით. რამდენი შესანიშნავი საჩუქარი მოამზადეს!

საბჭოთა ადამიანების სახელოვანი შრომითი საგმირო საქმენი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად დამაჯერებელი გამოხატულებაა ჩვენი ხალხის მაღალი იდეურობისა.

თბილისი საზეიმოდაა მორთული. ყველგან მოჩანს წითელი ქსოვილები, ალისფერი ალმები. საქართველოს დედაქალაქი ეგებება ოქტომბრის დღესასწაულს!

რუსთაველის პროსპექტი. აქ არის დღესასწაულის გული, რომლის ციმა ესმის მთელ რესპუბლიკას. ემზადება რა საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავისთვის, ქართველი ალხი სიამაყით ავლებს თვალს სამშობლოს მიერ განვლილ გმირულ გზას, სოციალიზმის შესანიშნავ მონაპოვრებს, თავის ფიქრს, თავის სიყვარულსა და მადლობას უძღვნის მშობლიურ პარტიას. მთავრობის სახლის ფრონტონზეა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის უზარმაზარი პორტრეტი. ალისფრად ელავს მოწოდება: „გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 52-ე წლისთავს".

ტრიბუნებზე არიან ქარხნებისა და ფაბრიკების წარჩინებული ადამიანები, მეცნიერებისა და კულტურის ცნობილი მოღვაწეები, დამსწრეთა შორის — ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატები, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლ ე ბ ი, საბჭოთა არმიის გენერლები,

მთავრობის ტრიბუნაზე არიან ვ. ჯ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. ბ. სტურუა, რ. ი. ფრუნიძე, ბ. ი. ჩობანიანი, შ. ი. ჰანდუსაძე, ბ. დ. ჯაფარიძე, ა. ნ. ინაური, მ. ი. კუბაკა, შ. დ. კიბანაძე, ო. ი. ლოლაშვილი, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

დიღის 10 საათია. ლენინის მოედნის მხრიდან ფოლადისფერი ღია მანქანით შემოდის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სარდალი ვენერალ-პოლკოვნიკი ს. კ. ტიმოშენკი. მთავრობის ტრიბუნაზე წინ მას ავტომობილით შეეგება პარადის სარდალი სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი ბ. ბ. ბოჟანოვი და უმატკა, რომ თბილისის გარნიზონის ჯარები მზად არიან პარადისათვის.

პატკის მოსმენის შემდეგ გენერალ-პოლკოვნიმა ს. კ. ტიმოშენკომ ჩამოუარა ჯარის ნაწილებს და მიულოცა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 52-ე წლისთავი, დაიქუხა „ვაშამ". გაისმის ფანფარების ხმა. სარდალი აღის ტრიბუნაზე და სიტყვას ამბობს. დიდი ოქტომბრის 52-ე წლისთავს, ამბობს იგი, საბჭოთა ხალხი ეგებება უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია ღირსშესანიშნავი თარიღისათვის — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებით.

მილიონობით მშრომელის მისწრაფება, ღირსეულად შესვდნენ ლენინის იუბილეს, გამოხატავს საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიანობასა და შეკავშირებას თავიანთი მებრძოლი ავანგარდის. — სახელოვანი კომუნისტური პარტიის გარშემო. მისი ნაცადი ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანები ახორციელებენ სკკპ XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში შესანიშნავი მიღწევებით ეგებებიან დიდი ოქტომბრის 52-ე წლისთავს ორჯონიკიძის ორდენოსანი საქართველოს მშრომელები. ელექტრომაგლუბისა და ავტომობილების მშენებლებმა, მეტალურგებმა და ქიმიკოსებმა, მეჩაიეებმა და მევენახეებმა შესანიშნავი შრომითი საჩუქრებით გაახარეს სამშობლო. დიდი შემოქმედებითი წარმატებები მოიპოვეს ქართველმა მეცნიერებმა და კულტურის მოღვაწეებმა.

შემდეგ ამხ. კურკოტკინი ამბობს, რომ, ითვალისწინებს რა რთულ საერთაშორისო ვითარებას, ჩვენი პარტია და საბჭოთა მთავრობა გამუდმებით ზრუნავენ საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის ძლიერების განსამტკიცებლად.

ფხიზლად იცავენ ჩვენი სამშობლოს სამხრეთის საზღვრებს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრები. ისინი, ისე როგორც არმიისა და ფლოტის მთელი პირადი შემადგენლობა, დაუცხრომლად აძლიერებენ სიფხიზლეს, განამტკიცებენ მებრძოლ დისციპლინასა და ორგანიზებულობას, ახალ წარმატებებს აღწევენ საბრძოლო ოსტატობის სრულყოფაში.

ოლქის სარდალი გამარჯვებას უსურვებს დიდი ოქტომბრის 52-ე წლისთავს, საბჭოთა ხალხსა და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს.

დიდებულად ეღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნების მელოდიები. გრიალებს საარტილერიო სალუტის ზალპები. გაისმის ბრძანება საზეიმო მარშის დაწყებისათვის. ორკესტრი ასრულებს არმიის მარშს.

ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის წმიდათა წმიდა გაშლილი საბრძოლო დროშით — მწყობრი ნაბიჯით ჩაიარა გაერთიანებულ ოფიცერთა პოლკმა.

როგორც საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეთაურთა შემადგენლობის თამობათა მემკვიდრეობითობის სიმბოლო, ოფიცერთა შემდეგ საპარადო მარშს უერთდებიან თბილისის 26 ბაქოელი კომისრის სახელობის წითელდროშოვანი უმაღლესი საარტილერიო სამეთაურო სასწავლებლის კურსანტები. 30-ზე მეტი საბჭოთა კავშირის გმირი აღიზარდა ამ უძველეს სამხედრო სასწავლებელში.

ტრიბუნებს უახლოვდებიან გვარდიელთა კოლონები. ისინი მტკიცედ და მწყობრად მობიჯგებენ. ქარი აფრიალებს გვარდიელთა დროშას, რომელზეც ვლადიმერ ილიას-ძე ლენინია გამოსახული.

მოდიან მეკავშირეები. მათ კოლონაში არიან სამხედრო საქმის ნამდვილი ოსტატები, ეთერის სნაიპერები. მოაბიჯებენ სახელოვანი ავიატორები.

ბწყობრი ნაბიჯით ჩაიარეს ჩვენი საზღვრების ფხიზელმა გუშაგებმა. გვიამოლოდება ბაზზედან მეზღვაურთა კოლონა. რუსი მატროსების შესანიშნავი საპრძოლო და რევოლუციური ტრადიციების მატარებლები, ისინი პარადზე წარმოადგენენ ჩვენი ფლოტის მამაც სამხედრო მეზღვაურებს.

მოტორების გუგუნი და საბრძოლო ტექნიკის მუსლუნების ღრჭიალი აკვლებს რუსთაველის პროსპექტს. ნელნელა მოძრაობენ ჯავშნიანი მანქანები, რომელთა ბორტებზე გამოსახულია გვარდიული ნიშნები, ღია მანქანები გაზ-69, რომელებზეც სხედან კომბინეზონიანი და ლურჯბერეტიანი მეომრები.

მარშზე არიან ტანკისტები, ოფიცრის, კომუნისტ ნიკოლოზ ტრფიმოვის აღსრდილები. ტრფიმოვმა დიდი სამამული ომის წლებში მთავრობის თერთმეტი ჯილდო აქვს მიღებული.

ტანკებს მოყვება დიდების შარავანდედით მოსილი საბჭოთა არტილერია. მოდიან ტანკსაწინააღმდეგო მართული რეაქტიული ჭურვების დანადგარები. შთამბეჭდავი სანახაობაა, როცა მოძრაობს სარკეტო ჯარების კოლონა. იგი საბჭოთა არმიის ყველაზე მძლავრი ძალაა.

შესანიშნავი შრომითი წარმატებებით შეეგება ქართველი ხალხი დიდი ოქტომბრის წლისთავს. დიდებული და მშვენიერია თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია.

ნელა მოძრაობს თითქოს გრანიტისაგან გამოკვეთილი ოქტომბრის რევოლუციის ბელადის, საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის პორტრეტი. ალისფრად აფრიალდა ბრძენთის ტილო, რომელზეც წარწერილია ათასი გულის სიღრმიდან ამოხეთქილი სიტყვები: „ლენინი ჩვენთან არის!".

დემონსტრანტებს მაღლა უჭირავთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელთა პორტრეტები. გრიალებს „შაშა!" „ურა!". პროსპექტის კიდით კიდემდე გაისმის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდების სიტყვები.

— მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ ახალი მამარჯვებებისაკენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის ზეიმისათვის ბრძოლაში!

კოლონვით გიზგიზებს 52 ალისფერი დროშა თარიღებით — ორმოცდათორმეტი გმირული წელი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ განვლო 1917 წლის ოქტომბრიდან 1969 წლის ოქტომბრამდე.

მოდიან ქალაქის უდიდესი სამრეწველო რაიონის — ლენინის რაიონის ფაბრიკების, ქარხნების, დაწესებულებების კოლექტივები. ამ რაიონში ცხოვრობს და ერთ ძმურ ოჯახში შრომობს 30-ზე მეტი ეროვნების ადამიანი. აი მოდიან ამიერკავკასიის მაგისტრალის რკინიგზელთა მრავალათასიანი არმიის წარმომადგენლები, მძიმე წონის მატარებელთა ტარების ოსტატები. ოქტომბრის შრომითი ვახტი მათ აღნიშნეს იმით, რომ დავალების გადაჭარბებით გადაზიდეს ათეული ათასობით ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი. დახმარების ძმური ხელი გაუწოდეს რკინიგზელებმა სოფლის მშრომელებს: საშემოდგომო თესვისათვის მათ რაიონებს მიაწოდეს ტექნიკა, მინერალური სასუქები.

წარმატებით ასრულებენ ღირსშესანიშნავი თარიღი — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ გადიდებულ ვალდებულებებს რესპუბლიკის უძველესი სანწარმოს — ორთქმავალ-ეაერონშემკეთებელი ქარხნის მუშები, რომელებმაც დიდი წვლილი შეიტანეს თბილისის მრეწველობის განვითარებაში. „დიდურ დავალებას 150 პროცენტით ვასრულებთ!" — ეკითხულობთ შ. დევსურაშვილის ბრიგადის ტრანსპარანტზე. ეს ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ერთ-ერთი საუკეთესო ბრიგადაა. ამ საწარმოს კოლექტივი ამაყობს იმით, რომ დაიწყო „ვლ-10" მარკის ახალი, უფრო სრულყოფილი ლოკომოტივების სერიული წარმოება. სადღესასწაულო შრომითს ვახტზე თავი გამოიჩინა კიროვის სახელობის ქარხნის ბევრმა ჩარხმშენებელმა. ამ საწარმოს პირველი გასდა კიდევ ერთი შესანიშნავი ჩარხი — ზემტკიცე მილების დასამუშავებელი უნაკვეთი მოქმედების ავტომატი.

მჭიდრო რიგებად ჩაიარეს ქალაქის სამრეწველო საწარმოების — ფოლადთუჯსამსხმელო და პლასტმასის ქარხნების, 26 კომისრის სახელობისა და ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნების, კამვოლ-შაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოსა" და № 6 სამკერვალო ფაბრიკის, კერამიკული და რძის კომბინატების მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა, მოსამსახურეებმა...

ჩვენი პარტია და ხალხი, რომელებიც ერთგულად იცავენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინურ იდეებს, ძმურ სალამს უთვლიან კომუნისტურ და მუშათა პარტიებს. დემონსტრანტებს მოაქვთ პლაკატი, რომელზეც წარწერილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდება — ძმური სალამი კომუნისტურ და მუშათა პარტიებს — მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის მებრძოლ მარქსისტულ-ლენინურ ავანგარდს, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, დედამიწაზე კაცობრიობის ნათელი ოცნების — კომუნიზმის დამკვიდრებისათვის მებრძოლ მებრძოლებს!

თითქოს, ბოლო არ უჩანს ხალხის ნაკადს. ტრიბუნები ტაშს უკრავენ მოძმე რუსპუბლიკათა ხალხების ერთიანულ კოსტუმებში ჩამოწყობილ მშრომელთა ლამაზ კოლონას.

საზეიმო სვლის მონაწილეთა რიგებში არიან პირველი მაისის, ოქტომბრის, კალინინის, კიროვის, 26 კომისრის სახელობისა და ორჯონიკიძის რაიონების საწარმოთა და დაწესებულებათა მუშები და მოსამსახურეები. ჩვენ ვხედავთ წარმოების ნოვატორებს, პატრიოტულ თაოსნობათა ინიციატორებს, მაღალნაყოფიერი შრომის ადამიანებს.

დემონსტრანტთა კოლონების გაფორმების ერთ-ერთი თავისებური თვისებაა მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი. თბილისის მშრომელთა წარმომადგენლებს მოაქვთ პლაკატები, რომელებიც მოგვითხრობენ მათ პატრიოტულ საქმეებზე საშეფო სოფლებში.

ადამიანთა აზრი და გრძნობები მკაფიოდ არის გამოხატული სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებაში:

— დაე მტკიცდებოდეს და აყვავდეს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი — საზიზაღ-ლობრივ სოციალურ-კოლონიალური და იდეშური ერთიანობა — საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ურღვევი საფუძველი!

პატიოსანი, კეთილსინდისიერი შრომა ძლიერი სამშობლოს სიდიდეზლად ჩვენი სოციალისტური ყოფაცხოვრების საფუძველია. ამას მტკიცედ, ოპტიმისტურად მოწმობენ ლოზუნგები, მხატვრული პანოები.

ყველაზე გირლანდებით მოდის ახალგაზრდობა, მათ მოაქვთიან უფროსი თაობის ადამიანები — სამოქალაქო ომისა და სამამული ომის ვეტერანები. კვლავ და კვლავ ვგიმღერ ტაში. მოდიან ჩვენი რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები — სოციალისტური შრომის გმირები, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატები. დიდ ჯგუფად მოდიან გამჩენილი ქართველი სპორტსმენები.

მშრომელებს მოაქვთ ტილოები, რომელებზეც წარწერილია სიტყვები: „მშვიდობა!". „ჩვენი გული მოძმე ვიეტნამელ ხალხთან არის, რომელიც გმირულად იცავს სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიისაგან! „მხარს ვუჭერთ საყოველთაო და სრულ განიარაღებას, საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას!".

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სახიხარულო, მღელვარე დღეებს განიცდის ქართველი ხალხი. იგი ამაყობს კოსმოსის ათვისებაში ახალი გრანდიოზული გამარჯვებით — სამი საბჭოთა კოსმოსური ხომალდის ჯგუფური ფრენით, ჩვენი სახელოვანი კოსმონავტი გმირებით, რომელებმაც ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის საყოველთაო-სახალხო შაბდების მატიანეში. კოსმოსში გამარჯვება, ხუთწლედის შრომითს ფრონტებზე შესანიშნავი მიღწევები სამშობლოს ღირსეული საჩუქრებია ოქტომბრის ნათელი დღესასწაულისათვის.

რუსთაველის პროსპექტზე განუწყვეტლივ მოედინება ხალხის ნაკადი. მოდიან მეცნიერებათა აკადემიის, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების კოლექტივები. ქართველი მეცნიერები მუშებთან და სოფლის მშრომელებთან ერთად ქმნიან ახალ სრულყოფილ ტექნიკას, ხელს უწყობენ საბჭოთა სამშობლოს დოვლათის გამრავლებას.

მოდიან ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, რომელთა შემოქმედება ემსახურება მშრომელთა კომუნისტური აღზრდის დიად საქმეს, ხალხის სულიერი კულტურის შემდგომ აღმავლობას. ჩვენი სახალხო ინტელიგენცია — ინჟინრები. მასწავლებლები, ექიმები, აგრონომები, მეცნიერებისა და კულტურის ყველა მუშაკი — თავის ძალას, ნიჭსა და ცოდნას ახმარს კომუნიზმის მშენებლობის საქმეს.

გაისმის ახალგაზრდული, ხალისიანი ხმები. მწყობრ რიგებად ჩაუარეს ტრიბუნებს პიონერებმა, მოსწავლეებმა, სტუდენტებმა, სპორტსმენებმა — ჩვენმა სახელოვანმა ახალგაზრდობამ, ქალიშვილებსა და ჭაბუკებს გულითადად მიესალმებიან ტრიბუნები.

თბილისის მშრომელები, მთელი ქართველი ხალხი დიდი ოქტომბრის 52-ე წლისთავს შეხვდნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულნი.

(საქდესი).



თბილისი. 1969 წლის 7 ნოემბერი. თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი. რაკეტული ტექნიკისა და ჭვეითი ჯარის გავლა ტრიბუნასთან.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

დიდი ზეიმი საქართველოში

სოხუმი

სოხუმი. (საკ. კორ.). აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქი სოხუმი. კიდევ უფრო თვალწარმტაცი და მიმზიდველი იყო ზეიმის დღეს. ქალაქმა-ბაღმა ჩვეულებრივზე ადრე გაიღვიძა, კამკამა მზე ანათებს.

საოქტომბრო დემონსტრაცია 11 საათზე დაიწყო. მშრომელთა კოლონები ვ. ი. ლენინის სახელობის მოედნისაკენ მიეგარეთებიან. ტრიბუნას ერთ-ერთმა პირველმა ჩაუარა ქალაქის ფიზკულტურულმა კოლექტივმა, მათ მოჰყვებიან ქალაქის სკოლების, საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეები, სოხუმის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტების სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, მოედანზე შემოდიან ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლონები, რომელებსაც თან მოაქვთ პროდუქციის ნიმუშები. ტრიბუნას საზეიმო ნაბიჯებით ჩაუარეს კულტურის, ხელოვნების, ტრანსპორტის, მშენებლობის, კავშირგაბმულობის სახელმწიფო დაწესებულებების, მედიცინის, ვაჭრობის მუშაკებმა.

სოხუმის მშრომელთა დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთში სტუმრად მყოფმა ტურისტებმა და დამსვენებლებმა.

ბათუმი

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის მშრომელები სასახელო შრომითი მიჩვენებლებით შეხვდნენ ოქტომბრის რევოლუციის 52-ე წლისთავს. ვადამდე დიდი გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფო გეგმები სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის დარგში.

კობტად, საზეიმოდ მორთულა საქართველოს ზღვისპირეთის ერთ-ერთი უოლამბესი ქალაქი ბათუმი. ბელადის პორტრეტებს, ლოზუნგებსა და პლაკატებს დაუმშვენებია ქუჩები და შენობათა ფასადები.

დღეის 11 საათია. ზეიმის მონაწილეთა მწყობრი კოლონები სანაპირო ქუჩით ლენინის მოედნისაკენ მიემართებინან. ტრიბუნას საზეიმო ჰანგებით ჩაუარა ქალაქის მრავალათასიანმა მოსწავლეთა კოლონებმა. კოლონების თავზე ლაჟვარდ შრიალებს ალისფერი დროშების ტყე. მათ მიჰყვებიან სტუდენტობა, ტექნიკუმის მოსწავლეები, ბათუმის სახელოვან სასწავლებლის კურსანტები. მოდის დიდი ტრადიციების მქონე ბათუმის სახელოვანი მუშათა კლასი — მეზეთობეები, მანქანათმშენებლები, გემმშენებლები, ელექტრომექანიკური და ელექტროტექნიკური მრეწველობის მშრომელები.

ტრიბუნას ჩაუარეს ტრანსპორტის, მედიცინის, კულტურის. ვაჭრობის მუშაკებმა. საზეიმო სვლა 3 საათს გაგრძელდა.

ცხინვალი

ცხინვალი. (საკ. კორ.). სოფლო ცენტრი მაღალი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით აღნიშნავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 52-ე წლისთავს. ქალაქს საზეიმო სამოსელი ჩაუცამს. ყველგან იგრძნობა შრომაში მოპოვებულ წარმატებათა სიხარული.

ტრადიციის მიხედვით აქ შრომელთა საღღესასწაულო დემონსტრაცია 11 საათზე იწყება. ლენინის მოედნიდან მშრომელთა კოლონები გაბუწყვეტლივ მოდიან სტალინის სახელობის მოედნისაკენ, სადაც აღმართულია ტრიბუნა.

ქალაქის მოწინავე საწარმოების — ხე-ტყის კომბინატის, ქარხნების „ემალსიდენისა" და „ვიბრომანქანის" მუშათა კოლონებს მოაქვთ ტრანსპარანტები, რომელებზეც აღბეჭდილია, რომ მათ გადაჭარბებით შეასრულეს 10 თვის საწარმოო პროგრამა. ისინი ახალ-ახალ საჩუქრებს უმზადებენ დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს.

ზეიმი გვიან ღამემდე გაგრძელდა. მოეწყო სეირნობანი, სპორტული ღონისძიებანი.

ქუთაისი

ქუთაისი. (საკ. კორ.). საზეიმოდ მოირთო და მოიკაზმა რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრი. მზიანი, ხალისიანი დილა ეშხსა და სილამაზეს მატებს საკარდო და სამაისო ქუთაისს.

ქალაქის მშრომელები ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.



მს სურათები გადაღებულია 7 ნოემბერს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში. მშრომელთა დემონსტრაციები **ქუთაისში** (მარცხნივ), **სოხუმში** (ზემოდან), **ბათუმსა** და **ცხინვალში.**

ფოტოები გ. გმრსამიასი, ნ. ანასტასიადისა, ი. ჭოხონელიძისა და ლ. ბესსოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ქართული კულტურის დღეები გდრ-ში

დრეზდენი ცაზს უკრავს

„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი ოთარ ეგაძე გვწერს

ქართული კულტურის დღეები დიდი წარმატებით გრძელდება მთელ დემოკრატიულ გერმანიაში. გუშინწინ ბერლინიდან სპეციალურად დრეზდენში გავემგზავრე, რათა საუთარი თვალით მენახა ჩვენებურების გამოსვლა მსოფლიო კულტურის ამ ერთ-ერთ უდიდეს ცენტრში.

ამ სახელოვანი ქალაქის ცენტრში გაიხსნა ქართველ მხატვართა დიდი გამოფენა. მნახველები აღნიშნავენ, რომ ერთი ქართველი მხატვარი მეორეს არა ჰგავს. ყველა' ერთმანეთისაგან განსხვავდება და ამით ერთი ისეთი ქართული მხატვრული სტილი იქმნება, რომელიც დიდად გამოარჩევს ჩვენს ეროვნულ სახვით ხელოვნებას სხვა ქვეყნებისა და ხალხების კლასიკური შემოქმედებისაგან.

დრეზდენელები აღფრთოვანებული არიან ნიკო ფიროსმანაშვილის ნამუშევრების ნახვით. გამოფენაზე მოსულნი დიდხანს არ ტოვებენ დარბაზს.

დრეზდენის ახლად აგებულ კულტურის სასახლეში, რომელიც თავისთავად ხელოვნების ქმნილებას წარმოადგენს, შედგა ოფიციალური ბანკეტი-მიღება. შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. „ჯორდლამ“ აქაც კარგად უჩვენა თავი და ძველებური ქორალებითა თუ თანამედროვე სიმღერებით კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი მაღალი სამემსრულებლო რეპუტაცია.

კულტურის დღეების ყველა მონაწილე დიდ საზოგადოებრივ სასარგებლო საქმეს აკეთებს. ბერლინში მყოფი ქართველებიდან მოცლა არავის არა აქვს.

გერმანული პრესა მაღალ შეფასებას აძლევს ქართული კულტურის დღეების პროგრამით გათვალისწინებულ ყველა ღონისძიებას. გაზეთმა „ნაციონალ ცაიტუნგმ“ მთელი გვერდი უძღვნა ქართულ ხელოვნებას. დაბეჭდა სტატიები სათაურებით: „ქართული გაბოლშენებიდან ხალოვნება გერმანიაში“; „ესთეტიკური კმაყოფილება და ხალხი“, რომელშიც ხაზგასმულია ძველი ქართული ხელოვნების ტრადიციულობა.

ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო, გაზეთი „ნო